საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი

ხელშეკრულება

№ 54/1222

საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10ı მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე CPV 55300000-79900000

ქ. თბილისი „07“ „მარტი“ 2012წ.

ერთის მხრივ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მიხეილ თოფურიას სახით (შემდგომში – "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპ.ს. "ეკო მით" წარმოდგენილი დერექტორის გიორგი თენაძეს სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის მისაღები საღამოსი და კერძების მომზადებით გასაწევი მომსახურებით უზრუნველყოფა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4141.35** (ოთხი ათას ას ორმოცდაერთი ლარი და 35 თეთრი) ლარს.
2.2 მომსახურების ღირებულება მოცემული №1 და №2 დანართებში რომელიც შეადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. საქონლის ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები

მიმდინარე წლის 12 მარტიდან - 16 მარტის ჩათვლით პოლიციის აკადემიის შენობაში "შემსყიდველის" საჭიროების შესაბამისად, „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს სენდვიჩების მომზადებასა და მოწოდებას,ასევე 2012 წლის 15 მარტს მისაღები საღამოს ორგანიზებას 120 პერსონაზე.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელითან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. "მიმწოდებელი" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის თაობაზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.
4.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველის" მიერ იმ საქონლის მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
5.3 ხელშეკრლების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა უფლებები

6.1. „**მიმწოდებელს**" უფლება აქვს:
6.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა.
6.2 „**შემსყიდველს**" უფლება აქვს:
6.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
6.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „**მიმწოდებელი**" **ვალდებულია:**
7.1.1 დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.
7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „**შემსყიდველი**" **ვალდებულია:**
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 და მე-6 მუხლის 6.1.1. პუნქტების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული "შემსყიდველის" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით,

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, ამ მუხლის მე–3 პუნქტითა და ამ დებულების 25–ე მუხლის 3^2 პუნქტის გათვალისწინებით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.
10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში

უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0,07%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.
13.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა დოკუმენტაცია (შეთანხმება), რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

17. განსაკუთრებული პირობები

ხელშეკრულება

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება – „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„დამკვეთი"

საქართველოს ეროვნული უშიშროების
საბჭოს აპარატი
ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. 7

საიდენტიფიკაციო №203851377

ადმინისტრაციული დეპარტანეტის
დირექტორი

მიხეილ თოფურია

„შემსრულებელი"

_____

შ.პ.ს. „ეკო მით"
მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის №10
ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის
კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 404891612
ა/ა GE 78 BG 0000000623020900

დირექტორი
გიორგი თენაძე

ხელშეკრულება

დანართი №1

CPV 55321000			
კერძის დასახელება	რაოდენობა	ერთეული ფასი	საერთო ფასი
სენვიჩი	790	3.00	2370.00

დანართი №2

CPV 79954000					
N	კერძის დასახელება	ერთ. ფასი	რაოდ.	სულ ღირებულება	
1	ობიანი ყველის კანაპე	0.65	45	29.25	
2	ჩედარის კანაპე	0.55	45	24.75	
3	გაუდის კანაპე	0.55	45	24.75	
4	სალიამის კანაპე	0.52	45	23.4	
5	გამომცხვარი ლორის კანაპე	0.6	45	27	
6	ქათმის მკერდის კანაპე	0.54	45	24.3	
7	კანაპე ზეკონით და კრაბით	0.49	45	22.05	
8	კანაპე ზეკონით და ყველით	0.65	45	29.25	
9	ლიონური ძეხვის კანაპე	0.45	45	20.25	
10	მონადირული ძეხვის კანაპე	0.63	45	28.35	
11	ბადრიჯნის კანაპე	0.46	45	20.7	
12	ბულგარულის კანაპე	0.56	45	25.2	
13	კანაპე სოკოთი	0.65	45	29.25	
14	ისპანახის კანაპე	0.53	45	23.85	
15	პატარა შოკოლადის დესერტი	0.86	120	103.2	
16	ხილის დესერტი ინგლისური კრემით	0.84	120	100.8	
სულ			**870**	**556.35**	ლარი
ჭურჭელი					
1	წვენის ჭიქები	0.7	80	56	
2	მინერალური წყლის ჭიქები	0.7	80	56	
3	ღვინის ჭიქები	1	129	129	
4	140 თეფში+15 დიდი	1	155	155	
5	გადასაფარებელი	3	5	15	
6	ხელსახოცები	0	0	0	
7	კანაპეს ჩხირები	0	0	0	
8	ერთჯერადი თეფშები	0	0	0	

ხელშეკრულება

9	ერთჯერადი კოვზები	0.02	300	6	
სულ				**417**	ლარი
სასმელები					
	ღვინო (შავი)	13.5	20	270	
	ღვინო (თეთრი)	12	30	360	
	წვენი (1 ლიტრი)	4.5	24	108	
სულ				**738**	ლარი
მომსახურე პერსონალის ხელფასი					
	ბარმენი			30	
	კონსულტანტი/მიმტანი			30	
სულ				**60**	ლარი
სულ ჯამი				***1771.35***	*ლარი*

„შემსყიდველი"

მიხეილ თოფურია
ადმინისტრაციული დეპარტამენტის
დირექტორი

„მიმწოდებელი"

გიორგი თენაძე
დირექტორი